პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 დეკემბერი ხუთშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 287 (14587)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

კოხორული მანდარინი

გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ციტრუსოვანთა ნარგავებს ასობით ჰექტარი უჭირავს. წელს აქ დიდი შრომა გახდიეს იმისათვის, რომ დაეძლიათ არახელსაყრელი ამინდით გამოწვეული სიძნელეები და კარგი მოსავალი მიეღოთ.

კარგახანია კოხორაში დაიწყეს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამ სურათზე აღბეჭდილია კოხორის საბჭოთა მეურნეობის შემფუთავი ქარხნის პავილიონში მანდარინის დახარისხება-შეფუთვის პროცესი.

ფოტო მ. ტარასოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

10 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო და წითელწყაროს რაიონული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებანი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1966 წლის 21 სექტემბრის დადგენილება „სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

2. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

3. საინფორმაციო მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს შორის პერიოდში.

პირველ საკითხზე საანგარიშო მოხსენებანი გააკეთეს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ს. ᲑᲝᲪᲝᲠᲘᲫᲔᲛ და საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ი. ᲑᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗᲐ.

საანგარიშო მოხსენებების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ო. ᲙᲝᲠᲑᲐᲮᲘᲐ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. ა. ᲨᲔᲛᲒᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ა. ᲕᲔᲠᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ს. ᲩᲐᲒᲣᲜᲐᲕᲐ, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი ა. ა. ᲑᲚᲠᲪᲘᲐᲜᲘ, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ი. ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ᲚᲐᲑᲐᲮᲨᲐ, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ზ. ჩ. ᲧᲘᲪᲚᲐᲣᲠᲘ, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ი. ᲕᲐᲓᲐᲛᲬᲝᲠᲘᲐ, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ვ. ᲗᲔᲗᲕᲓᲝᲠᲐᲫᲔ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. შ. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ᲗᲐᲜᲣᲨᲕᲐᲫᲔ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. ᲗᲮᲘᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ᲯᲣᲡᲝᲔᲕᲘ, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. ო. ᲑᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ა. ᲣᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. ᲛᲖᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ.

საინფორმაციო მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ი. ᲤᲠᲣᲘᲫᲔ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. (საქდესი).

ᲚᲔ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ ᲓᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

ᲞᲐᲥ ᲡᲚᲔᲜ ᲩᲔᲠᲩᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲜ ᲓᲘᲣᲜ ᲗᲘᲗᲔᲥᲘ

9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲜᲛ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲛᲐ მიიღეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ᲞᲐᲥ ᲡᲚᲔᲜ ᲩᲔᲠᲩᲘ, რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირში. საბჭოთა მთავრობის მოწვევით, და კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ᲢᲔᲜ ᲓᲘᲣᲜ ᲗᲔᲚᲘᲐ, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვდთარებაში ჩაიარა, ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ და ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ პაკ სენ ჩერსა და ტერ დიუნ თხეკის გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხსა და კორეელ ხალხს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ო. ᲙᲐᲢᲣᲨᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. ᲠᲣᲡᲐᲙᲝᲕᲘ, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. გ. ᲡᲣᲓᲐᲠᲘᲙᲝᲕᲘ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ᲢᲔᲜ ᲘᲜ ᲩᲔᲠᲩᲘ. (საქდესი).

ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲛᲐ 9 დეკემბერს სადილი გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი პაკ სენ ჩერი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რემ ᲗᲔᲗᲘᲜᲘ, კორეის დელეგაციის წევრები.

სადილის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ვ. ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕმა და ტენ დიუნ თხეკმა სიტყვები წარმოთქვეს.

(საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲜᲐᲕᲚᲔᲑᲐ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეების ერთთვიანი კურსები, რომლებიც განაგრძენ კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

კურსების მონაწილეებმა შეისწავლეს სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა აქტუალური საკითხები. სწავლებაში დიდი ადგილი დაიკავა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ხელმძღვანელობის პრაქტიკის პრობლემებმა.

კურსებზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერი მუშაკები.

9 დეკემბრის მსმენელთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. ᲛᲐᲖᲣᲠᲝᲕი.

მეგობრულ ვითარებაში

10 დეკემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. �პᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ მოლაპარაკება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ᲐᲒᲨᲐᲠ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ᲛᲐᲰᲛᲣᲓ ᲠᲘᲯᲐᲚი, სამხედრო მინისტრი ᲨᲐᲰᲐᲛᲔᲓ ᲨᲐᲰᲘᲜ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲛᲣᲰᲐᲓ ᲒᲐᲚᲐᲜᲘ.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲔᲕᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ა. ა. �გᲠᲝᲛᲘᲙᲝ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. �გᲠᲔᲩᲙᲝ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲕᲘ, სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲕᲘ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე Მ. Გ. ᲡᲘᲢᲜᲘᲙᲘᲜᲘ.

მოლაპარაკების დროს, რომელიც სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ურთიერთსაინტერესო საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დეეთმო მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ისრაელის იმპერიალისტური აგრესია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის მგმობარეობის გამო და დაადასტურა, რომ მზად არიან კვლავაც განაგითარონ ორ ქვეყანას შორის მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ყველა დარგში. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-კორეის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხთა სამთავრობათაშორისო საკონსულტაციო კომისიის მეხუთე სხდომა.

სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს მოადგილე ტენ დიუნ თხეკი. თავიანთ გამოსვლებში მათ აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

სხდომაზე განიხილეს ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებისთან დაკავშირებული-წინადადებანი.

კომისიის მუშაობა ამხანაგურ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს.

ᲞᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ

1969 წლის 9-10 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ი. იაკუბოვსკის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს სხდომა. სამხედრო საბჭომ განიხილა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ჯარების, შტაბების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მართვის ორგანოების განმტკიცების საკითხები.

სხდომამ სამხედრო საბჭოს ყველა წევრის სრული ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის შემოქმედებითი კავშირების — მწერალთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირების გამგეობების გაერთიანებული პლენუმი თეატრალური საზოგადოებების, არქიტექტორთა და ჟურნალისტთა კავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა კულტურის ათასზე მეტი თვალსაჩინო მოღვაწე, ეს წრეებიან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის მთელი რიგი სამხარეო, საოლქო კომიტეტების, მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო კომიტეტების მდივნები, ცენტრალური დეკანატიური დაწესებულებებისა და უწყებების, სრულიად საკავშირო აღკაკ ცენტრალური კომიტეტის, ტელევიზიის, საზღვარგარეთ ინფორმაციის, ელჩიანობის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ტელეტაიპის, ტელევიზიის, ტელეფოტოს, ტელეფონოგრამის, ტელეფონოგრაფიის, ტელეფოტოგრაფიის, ტელეფოტოგრაფიის, ტელეფოტ

ვ. ი. ლენინი
და საქართველო

ᲙᲘᲝᲒᲐᲚᲓᲐ
ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲐ

ვ. ი. ლენინის როლი საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობაში

ვ. ი. ლენინი მუდმივ მზრუნველობას იჩენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისადმი, მათი სუვერენული უფლებების უზრუნველყოფისათვის, ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის. იგი ხშირად იღებდა ამიერკავკასიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, ესაუბრებოდა მათ, აძლევდა ბრძანებლებს რჩევებსა და დირექტივებს, ამ მხარის კომუნისტებს უგზავნიდა წერილებსა და დეპეშებს, ელაპარაკებოდა მათ პირდაპირი ხაზით. ლენინის მითითებები ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების სპეციფიკურ პირობებს. მათ უდიდესი დამრაზმველი და მაორგანიზებელი მნიშვნელობა ჰქონდათ მხარის ყველა კომუნისტისათვის. მ. დ. ორახელაშვილი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ვ. ი. ლენინის წერილების გადაკითხვა — ნიშნავს „გაიარო წინასწარჭვრეტისა და მართვის ხელოვნების მთელი სკოლა. ეს წერილები, როგორც წესი, გრძელი არ არის, მაგრამ დაწერილია ისე, რომ წაკითხვის შემდეგ ვერ დამშვიდდები მანამ, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის მიერ შემოთავაზებულ რჩევებს".

რუსეთის სფს რესპუბლიკასთან ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დაახლოების გზაზე დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1920-1921 წლებში მათ შორის დადებულმა მუშურ-გლეხურმა ხელშეკრულებებმა მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ. ისინი გამომდინარეობდნენ სუვერენობის, თანასწორუფლებიანობის, ძმური მეგობრობის ლენინური პრინციპებიდან. მათ საფუძვლად ედო სუვერენობის, თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის ლენინური პრინციპები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე შეტაკდება კავშირი და კონტაქტი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან. ჯერ კიდევ 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს რევკომი თავის მიმართვაში ვ. ი. ლენინისადმი აჯანყებულებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ წერდა: „იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შეაძლებლობების ქვეყანა არ მიგვატოვებს უთანასწორო ბრძოლაში და დაეხმარება ახალშობილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას".

მიესალმა რა საბჭოთა საქართველოს, ვ. ი. ლენინმა ურჩია კომუნისტებს დაემახსოვრებინათ, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საერთაშორისო პირობები მოითხოვს მათგან „რუსული შაბლონი კი არ გამოიყენონ, არამედ უნარიანად და მოქნილად შექმნან თავისებური ტაქტიკა, რომელსაც საფუძვლად დაედება შეი დათმობა ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი".

საპასუხო დეპეშაში რევკომის წევრებმა, რომლებმაც ბელადს დიდი მადლობა გადაუხადეს მისალმებისა და ბრძნული რჩევისათვის, მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ვ. ი. ლენინი არც ერთი წუთითი არ დაივიწყებს მათ და საუურადღებო მითითებებს მისცემს. „ჩვენი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, — წერდნენ ისინი, — ამხანაგ ლენინის მითითებები გვიხსნიან საშიში შეცდომებისაგან".

იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისათვის, რუსეთის სფსრ ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება საქართველოში გზავნიდა თავის რწმუნებულებს, რომლებიც საქმიანად და ნაყოფიერად მოაწილეობდნენ იმ მთელი რიგი საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფო კავშირის განმტკიცებას.

უფრთხილდებოდნენ რა თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი აღკვეთავდნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ყოველდღიურად მუშაობდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფო კავშირის საკითხებზე.

როცა ვ. ი. ლენინი გაეცნო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების შეთანხმების პროექტს საგარეო ვაჭრობის დარგში, მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა უზრუნველყოთ მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობა.

ამ საკითხზე დირექტივების პროექტში ვ. ი. ლენინმა დასძინა: „შრომისა და თავდაცვის საბჭოსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა, რომელმაც უურად უნდა იღოს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობის ფართო მასების განწყობილება და არსებული მომენტის საერთაშორისო პირობები, განსაკუთრებით გულისხმიერად უნდა გაუსვას ხაზი ამ დამოუკიდებლობას".

ლენინი რომ ზრუნავდა საბჭოთა რესპუბლიკებს სუვერენული უფლებების განმტკიცებაზე ასეთი ფაქტიც მოწმობს. 1921 წლის აპრილში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. ვ. ფომინმა ვ. ი. ლენინის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში დააყენა საკითხი, რომ საქართველოს საზღვაო ნავსადგურების (პათუმის, ფოთისა და სოხუმის) სამმართველოები დაექვემდებაროს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს დონის როსტოვში ან ნოვოროსიისკში. საქართველოს რევკომი წინააღმდეგი იყო ასეთი წინადადებისა. გაეცნო რა დეპეშას, ვ. ი. ლენინმა წაუწერა:

„ფომინის წინააღმდეგი ვარ. არ შეიძლება „რუსულად", საჭიროა „ქართულად". შეეტანოთ პოლიტბიუროში".

და მართლაც, 1921 წლის 19 აპრილს განიხილა რა საქართველოს ნავსადგურების საკითხი, რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა საქართველოს რევკომს და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ნავსადგურების ორგანიზაცია გამგებლობაში გადასცემოდა საქართველოს. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საზღვაო ფლოტის სამმართველოს დაეკვალა ყოველგვარი მატერიალური დახმარება გაეწია ამ ნავსადგურებისათვის. ეს ეპიზოდი ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი მაგალითთაგანია, რომ რუსეთის სფსრ იცავდა თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციურ წორმებს, პატივს სცემდა მათ სუვერენობას.

რუსი ხალხის დახმარების ფორმები ამიერკავკასიის მშრომელებისადმი მრავალფეროვანი იყო. ეს დახმარება ვლინდებოდა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში და საფუძვლად ედო ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების პრინციპები. დახმარების ერთ-ერთი ფორმა იყო სამხედრო დახმარება.

მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში მე-11 არმის ნაწილებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა. ეს არმია ღრმად ინტერნაციონალური იყო არა მარტო თავისი მიზნებითა და იმოცანებით, არამედ თავისი შემადგენლობითაც. ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად მის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მეომრები.

ითვალისწინებდა რა მაშინდელი საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, ვ. ი. ლენინი 1921 წლის 2 მარტს წერილში ქართველ კომუნისტებს ურჩევდა, რომ „დაუყოვნებლივ შეეფარდებინათ მუშები და უღარიბესი გლეხობა და შეექმნათ ძლიერი ქართული წითელი არმია".

ეროვნული ჯარის შენაერთები იქმნებოდა არა როგორც განცალკევებული არმიები, არამედ როგორც საბჭოეთის ერთიანი წითელი არმიის შემადგენელი ნაწილი.

ხაზს უსვამდა რა ვ. ი. ლენინის უდიდეს როლს ეროვნული ჯარის შენაერთების, მათ შორის წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნასა და განმტკიცებაში, ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ოფიციალურ მიმართვებში, პირად ხაუბრებში, წერილებსა და დეპეშებში ვ. ი. ლენინი ყოველთვის მიუთითებდა, რომ საჭიროა განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა ქართული არმიისადმი. იგი არახდროს არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ მასზე უკეთ არავინ არ იცოდა ამ მხარის პირობები, წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნის მნიშვნელობა.

რუსეთის მუშათა კლასის დახმარებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ეროვნული განაპირა მხარეების ხალხთა, მათ შორის ამიერკავკასიის ხალხთა საუკუნოვანი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციაში, სახალხო მეურნეობის აღდგენაში, საწარმოო ძალების განვითარებაში, ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებაში.

მხოლოდ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, პირადად ვ. ი. ლენინის უშუალო დახმარებით შესაძლებელი გახდა შედგომდნენ მაშინ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ზემო-ავკალის ჰიდროელექტროსადგურის („ზაჰესის") მშენებლობას. ვ. ი. ლენინის წინადადებით ამ სადგურის მშენებლობის დაწყებისათვის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს სსრ გამოუყო გრძელვადიანი სესხი 750 ათასი მანეთი ოქროთი.

ზაჰესის მშენებლობას საქართველოს მშრომელები ისევ ამადლებდნენ ვ. ი. ლენინს, რომელიც პირადად სულ ბოლამდე ადევნებდა თვალყურს ამ ისტორიულ-სანარმოო ძალების განვითარების საკითხებს. ეი რატომაა, რომ ასეთი სიყვარულით უწოდეს ერეკლეს ... ლენინის სახელი. საბჭოთა ... ფაბრიკის სრული აღტაცებისა ... ფაბრიკის ... ეროვნული ... ქართველი ... დგება.

რუსი ხალხის ამ დახმარებამ ამიერკავკასიის მშრომელებისადმი გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენული უფლებებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში.

ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, საქართველოს რევკომმა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ფართო მეეფდვითი და ზეპირი პროპაგანდა გააჩაღეს იმპერიალისტებისა და მათი მენშევიკი დამქაშების ცილისმწამებლური კამპანიის სამხილებლად. პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები და სტატიები, რომლებშიც გაშუქებული იყო მშრომელი მასების გმირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მოყვანილი იყო დასაბუთებული დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოწმობდნენ წითელი არმიის განმათავისუფლებელ როლს, საქართველოს მშრომელებისათვის საბჭოთა რუსეთის უანგარო დახმარებას. ბურჟუაზიულ დიპლომატიასაც კი არ შეეძლო ამ ფაქტების უგულებელყოფა.

თავის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები ფართოდ ეყრდნობოდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ძმურ დახმარებას, რომელმაც იკისრა მათი ინტერესების დაცვა საერთაშორისო ასპარეზზე, და ამავე დროს აქტიურად უჭერდა მხარს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ ღონისძიებებს.

ვ. ი. ლენინი მხედველობიდან არ უშვებდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების არც ერთ საგარეო-პოლიტიკურ აქტს და თვითეულ მათგანზე თავის აზრს გამოთქვამდა.

ხაზს უსვამდა რა ვ. ი. ლენინის როლს ამიერკავკასიის ხალხთა ბედში, მ. ორახელაშვილი წერდა, რომ „ამ. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური ბედის წინასწარ განსაზღვრაში. როგორც წესი, ეს მონაწილეობა იყო გადამწყვეტი და ყოველთვის კეთილსაყოფიერი".

ვ. ი. ლენინი ზედმიწევნით იცავდა საბჭოთა რესპუბლიკების სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობის პრინციპს, უყურადღებოდ არ ტოვებდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის ინტერნაციონალური პრინციპების დარღვევის არც ერთ ფაქტს. იგი განსაკუთრებული ძალით უსვამდა ხაზს გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების საჭიროებას ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული თავისებურებებისა და ინტერესებისადმი, მკაცრად გმობდა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ყოველგვარ დარღვევას.

სსრ კავშირი საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების თავისუფლებისა და ნებადაერთო დამოუკიდებლობის, მათი ეკონომიური და თავდაცვითი ძალიერების, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მატერიალური და სულიერი გამდიდრების პირობების შექმნის საიმედო გარანტია გახდა.

სსრ კავშირის შექმნა იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, ხალხთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის დიადი პრინციპების გამარჯვება, ხალხთა ძმური ურთიერთობის, მათი საერთო და ეროვნული ინტერესების ჰარმონიული შეხამების საუკეთესო მაგალითი.

ვ. მერკვილაძე.

მთავარია ხარისხი

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. სურათზე: ფართო მოხმარების საამქროს უფროსი კომუნისტი ვახტანგ სხვიტარიძე (მარცხნივ) ამოწმებს მოწინავე კომკავშირელი ამწყობი ზვინკლების ბესარიონ ურეკაძისა და თენგიზ ლეკავაას მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

საანგარიშო. საარჩევნო კრების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ქარხნის კომუნისტებს ვესაუბრე. წარმოების უფროსი ი. ალფაიძე, მისი მოადგილე ი. ბიჭანოვი, მთავარი ტექნოლოგის მოადგილე რ. დვალი მექანიკური საამქროს ვრცელ კორპუსში გულახდილად მელაპარაკებოდნენ წარმოების მთელ რიგ გადაჭრილ და გადაუჭრელ საკითხებზე.

მალე კრებაც დაიწყო და სანამ პარტიბიუროს მდივანი ჯ. რაზმაძე საანგარიშო მოხსენებას კითხულობდა, დროდადრო ყლუპის წინა რიგებში მსხდომ ზემოხსენებულ ბმახანგებს გადაეხედავდი ხოლმე. მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას ტოვებდა მათზე პარტბიუროს კაკანური.

როცა მოხსენებული თბილისის ფართო გასაქანი მისცა სოციალისტურ შეჯიბრებას. ამჟამად სამ ბრიგადას, ორ უბანს, ორ განყოფილებას და 215 კაცს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის სპატიო სახელი.

კრებაზე მოიყვანეს კომუნისტი მუშების ნ. არჩვაძის, გ. აკოფოვის, ა. კაცუპენკოს, ი. სამხარაძის, გ. ცხოვრებოვის, ინჟინერ რ. დვალის და სხვების მაღალი შრომითი აქტივობის მაგალითები.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად კომუნისტებმა საკმაოდ ვრცლად, პრინციპულად ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებიც ხელს უშლიან ქარხანას უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში. გაცხოველებულ კამათს კი ტონი მისცა არა იმდენად საანგარიშო მოხსენებამ, რომელსაც აკლდა მოგვლენათა ანალიზი, პირუთვნელი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რამდენადაც ზოგიერთმა ორატორმა, კერძოდ კი ი. ალფაიძემ.

— მართალია, გეგმებს ვასრულებთ, — თქვა მან, — მაგრამ ძალთა დიდი დაძაბვის შედეგად. სამუშაოს გაცდენა, დაკავიდება, კადრების დენადობა, უხარისხო სხმული მოწოდება, ნორმალური დეტალების უქონლობა აოდგეულ რიტმულ მუშაობას და იწვევს იერიშობანას. ამას წინასო ოსტატმა, კომუნისტმა გ. ელადაძემ გულისტკივილით შემოიმენა: — რა დავაშავეთ წარმოების ერთგულმა ადამიანებმა, გეგმის შესრულებას ჩვენი დასვენების ბარკვეულ ნაწილს რომ ვწირავთ? ასეთი ხარკი საჭირო არ იქნებოდა, ყველა მუშაკი, და მათ შორის ზოგიერთი კომუნისტი, სრულ პასუხისმგებლობას რომ გრძნობდეს მინდობილი უბნისათვის და საათნახევარ წვლილი შეეკონდეს წარმოების განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის ერთ-ერთ ძირითად უბანზე — მექანიკურ უბანზე გამოცდილი ძმანაგები, კომუნისტები მ. არჩვაძე, ბ. ევენკო, ო. კაკულია, ი. გორდენკო და სხვები მუშაობენ, იგი ჩამორჩება, ადგილი აქვს იერიშობანას მისთვის დამახასიათებელი არასახარბიელო შედეგებით. სერიოზული ნაკლოვანებებია ზოგიერთი სხვა უბნის, კერძოდ კი საიარაღო უბნის მუშობაში. იგი მთლიანად ვერ უზრუნველყოფს ძირითად უბნებს მჭრელი იარაღებითა და სამაჯვებით. რაც მუშახელის მოცდენის მიზეზი ხდება.

კრებაზე მოიყვანეს ასეთი ციფრები: თვის პირველ და მეორე დეკადებში საწარმო უწევს მთელი პროდუქციის დაახლოებით მეოთხედს. ხოლო მესამე დეკადაში სამ მეოთხედს ანუ 75 პროცენტს. მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ქარხანაში სამუშაოდ მიღებულ იქნა 132 კაცი, ხოლო საწარმოდან წავიდა 129. ამ არასახარბიელო მოვლენას ორატორები ხსნიდნენ აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტით და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობით.

როგორც ზემოაღნიშნა ზ. ქაფანაძემ, კომუნისტური ბრიგადის ბრიგადირმა უ. გურგენიძემ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ხატიაშვილმა აღნიშნეს, ქარხნის იდეური ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გაზრდილ ამოცანებს. მთელ საწარმოში მხოლოდ ორი პოლიტინფორმატორი, 18 აგიტატორია და მათი მუშაობაც არა ჩანს. იგრძნობა თვალსაჩინო აგიტაციის ნაკლებობა. არ მუშაობს ქარხნის რადიოკვანძი. ორატორები მეტ ქმედითობას მოითხოვდნენ ადგილობრივი პრესისაგან. ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე ქარხნის სასადილოს მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, არსებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობის დაჩქარებას.

საანგარიშო. საარჩევნო კრების მონაწილეებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელი ქარხანა, რომლის მიერ კოოპერირებული წესით მიწოდებული სხმული ვერ აკმაყოფილებს საექსპორტო ჩარხების დამზადებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ბევრი საყვედური შეხვდა გორის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელობას, რომელიც სისტემატურად აბრკოლებს ქარხნისათვის ჩარხების შესაფუთავი ყუთების გამოგზავნას.

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ხელს უშლის საჭირო დაზგების, ჩარხებისა და იარაღების ნაკლებობა, ტრანსპორტის არანორმალური მუშაობა, რაზეც ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში კომუნისტებმა პ. ოლშანიკოვმა, რ. სტეფანოვმა, ი. მუსტაფაევმა.

კომუნისტებმა — სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა ინჟინერმა ა. წერეთელმა და ამ ბიუროს კადრების განყოფილების უფროსმა ა. როსტომოვმა აღნიშნეს, რომ ქარხნის პარტბიურო, საამქრო პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ყველაფერს როდი აკეთებენ კომუნისტთა აქტივობისა და მიზდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

საწარმოს მომავლის ამოცანებზე, მის რეზერვებზე, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის საკითხებზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში ქარხნის დირექტორმა ლ. გოგიჩაძემ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და მიიღო დადგენილება, რომლის შესრულება დაეხმარება ქარხნის კოლექტივს მთელი ძალები მოაბმაროს გაზრდილი ამოცანების შესრულებას.

გ. ზუკაკიშვილი.

ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲜᲘᲭᲜᲘᲗ

სის სახელი ჩარხების ქარხნის კომუნისტების, მბრძოლ კოლექტივის მოღვაწეობის მთავარ კრიტერიუმს — საბუთრნეო შედეგებს ეხებოდა, ცუდს ვერავინ გაიღლებდა გუნებაში. 1967 წლიდან საწარმო სისტემატურად ანალიზებს ძალისხმევებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. თუმცა ეს არ ებება მარტო საექსპორტო პროდუქციის გამოშვების გეგმას, რომლის შესრულებლობა აქ თითქმის ტრადიციად გადაიქცა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო საწარმოსათვის 1968 წელი, რაშიაც გარკვეული წვლილი შეიტანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლამ.

საწარმოს კოლექტივის შრომითს მიღწევებზე მეტყველებს მიმდინარე წლის თერთმეტი თვის შედეგებიც. აქ წარმატებით შესრულდა სასაქონლო და სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობის დავალებანი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. გამოშვებულ იქნა მაღალი და ზემაღალი სიზუსტის ასობით ჩარხი. ამის გარდა აითვისეს და დამზადდეს მთელი რიგი სპეციალური ჩარხები, წლის განვლილ პერიოდში მიღებულ იქნა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მოგება. მნიშვნელოვნად იმატა მოგება. ბოლოს ... ...

ქართული ფოსტა

10 დეკემბერი

აგრესიული კურსის კრიტიკა

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის პრესა აკრიტიკებს პრეზიდენტ რ. ნიქსონის გაცხადებას გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე, მიიჩნია რა, რომ იგი გამოხატავს თეთრი სახლის განზრახვას დაიცვას უწინდელი კურსი ვიეტნამში.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ნიქსონის გამოსვლა „ნათლად გამოხატავს პენტაგონის უცვლელ რწმენას, რომ შესაძლებელია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემის სასურველი გადაჭრა ომის გზით. პრეზიდენტმა გააკრიტიკა მოლაპარაკების გზით მოწესრიგების იმედები და კიდევ უფრო შეარყია პარიზის მოლაპარაკებაში პროგრესის მიღწევის პერსპექტივები“.

ცნობილი მიმომხილველი ჯეიმს რეტონი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აღნიშნავს, რომ თუ პრეზიდენტ ნიქსონის აზრით, „მას ჯერ კიდევ ძალუძს მიაღწიოს თავდაპირველ პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნებს ვიეტნამში“, მას უსდა მოვაგონოთ, რომ ამის მიღწევა უკვე ამაოდ სცადეს პრეზიდენტებმა კენედიმ და ჯონსონმა.

პრეზიდენტის განცხადება „ახალს ბევრს არაფერს შეიცავდა“, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“. ნიქსონმა თავის განცხადებაში გამოთქვა ის აზრი, რომ ადარ აქვს იმედი მოლაპარაკების გზით მიაღწიოს ვიეტნამის კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებას. „ეს [illegible] ნიქსონმა თქვა, — აცხადებს „ნიუ-იორკ პოსტი“, — მოგვაგონებდა მის წინამორბედთა ოპტიმიზმს ვიეტნამის გამო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთგაგება და თანამშრომლობა

პრაღა, 9 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი რ. კნიაზევი იუწყება:

პრაღის ეროვნულ თეატრში გუშინ გაიმართა საზოგადოებრივობის საზეიმო საღამო სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის 26 წლისთავის გამო. საღამოს, რომელიც გაიმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დასასრულს, დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ვ. ბილაკი, ი. კემპნი, ჰ. ცოლტკა, ლ. ტროუგალი, ე. ერმანი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის აქტივისტები.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სახალხო პალატის თავმჯდომარემ ს. პენგეროვამ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ერთობლივმა ბრძოლამ ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ, განაცხადა ს. პენგეროვამ, სამუდამოდ შეაკავშირა ჩვენი ქვეყნები. როგორც ისტორიის გამოცდილებამ გვიჩვენა, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ხალხებს ვერ ექნებათ ვერც თავისუფლება, ვერც დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირთან კავშირისა და მეგობრობის გარეშე.

სპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ი. ი. უდალოვმა.

დასასრულ გაიმართა სახელმწიფო ქორეოგრაფიული საკონცერტო ანსამბლის „ახალგაზრდა ბალეტის“ სპექტაკლი ოგორ მოისეევის ხელმძღვანელობით.

მილოგა პრაღის კრემლში

პრაღა, 9 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიკ სვობოდამ პრაღის კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო და ახალგაზრდული ორგანიზაციების ფედერალური საბჭოს დელეგაცია, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე ი. ვერგოლიკი მეთაურობს.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დელეგაციამ პრეზიდენტს გააცნო ახალგაზრდული მოძრაობის მდგომარეობა. ლ. სვობოდამ ხაზი გაუსვა, რომ ახალგაზრდობამ აქტიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩეხოსლოვაკიის-კომპარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში, განსაკუთრებით ქვეყნის პოლიტიკური კონსოლიდაციისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ახალგაზრდობამ, თქვა პრეზიდენტმა, არ უნდა დაივიწყოს ისტორიის გამოცდილება, მან უნდა მიბაძოს სოციალიზმისათვის, ფაშიზმის წინააღმდეგ გამოჩენილ მებრძოლებს.

მდივნეგის თათბირი

პრაღა, 10 დეკემბერი. (საკდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საოლქო კომიტეტების და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი.** თათბირს მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს მდგომარეობა პარტიულ ორგანოებსა და ორგანიზაციებში, ილაპარაკეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა თავის გამოსვლაში დადებითად შეაფასა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შედეგები განვლილი თვეების მანძილზე. მან თათბირზე მონაწილეებს გააცნო პარტიის უახლოესი პერიოდის ამოცანები და მოძმე ქვეყნების პარტიათა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მოსკოვის შეხვედრის შედეგები.

საერთაშორისო ფოტოკონკურსი

ბერლინი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დრეზდენში დამთავრდა მე-6 საერთაშორისო ფოტოკონკურსი „სოციალისტური ფოტოხელოვნებისათვის“, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფოტორეპორტიორები და მოყვარულები.

საერთაშორისო ჟიურიმ განიხილა დიდძალი ფოტოსურათები და დიაპოზიტივები, რომლებიც წარმოადგინეს კონკურსის მონაწილე ქვეყნებმა. ოსტატობის დონისა და თემატიკის მრავალფეროვნების მიხედვით საუკეთესოებად აღიარეს საბჭოთა ფოტოგრაფების ნამუშევრები, რომლებმაც კონკურსზე წარადგინეს 700-ზე მეტი ფოტოსურათი და დიაპოზიტივი.

გრან-პრი მიენიჭა ვალენტინ სიბოლევს (საკდესის ფოტოკრონიკა) ნამუშევრების სერიისათვის „ვიეტნამი იბრძვის, ვიეტნამი გაიმარჯვებს“.

თოვლის ქარბუქი

ბუდაპეშტი, 10 დეკემბერი. (საკდესი). **უნგრეთში სულ რამდენიმე დღის წინ დაზამთრდა, მაგრამ მაშინვე გამოავლინა თავისი უფლებები და პირველსავე დღეებში დაამყარა რეკორდი. უნგრეთის ამინდის ცნობები ამჟამად მოგვაგონებენ საბრძოლო ცნობებს. თოვლის სტიქია განსაკუთრებით ბობოკრობდა უნგრეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. გუშინ მთელ რიგ ოლქებში ნაწილობრივ თუ მთლიანად შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა. 3-4 მეტრამდე სიმაღლის თოვლის ზვავები გარს შემორტყმიან ახობით ავტომანქანას, მატარებლები საათობით დგანან გადასარბენებზე. ტოლნის ოლქიდან იუწყებიან, რომ აქა-იქ თოვლმა დაფარა ტელეგრაფის ბოძები.**

ბევრი დასახლებული პუნქტი მოწყვეტილია გარე სამყაროს, ასობით სოფელთან შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი.

უნგრეთის მოსახლეობა და უნგრეთის სახალხო არმიის ქვეგანაყოფები ყოველ ღონეს ხმარობენ თოვლის ქარბუქის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ამ ნომერში

ფაქტები

მასალები ლენინზე

● **კაპანა, 10 დეკემბერი.** (საკდესი). **კუბელ ჟურნალისტთა ფედერაციის ორგანომ, ჟურნალმა „მუხერეხმა“ დაიწყო მასალების ბეჭდვა ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის მდიდარ იდეურ მემკვიდრეობაზე. ჟურნალის დეკემბრის ნომერში მოთავსებული მასალები ასახავენ ვ. ი. ლენინის სიკვდილის წლებს.**

საბჭოთა-კავშირ-პაკისტანის ოქმი

● **რავალპინდი, 10 დეკემბერი.** (საკდესი). **გუშინ ისლამაბადში ხელი მოაწერეს ოქმს პაკისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის 1970 წლისათვის საქონელბრუნვის შესახებ.** ორადგილიანი ჯუტის, ბამბისა და მათი ნაწარმის გარდა, საბჭოთა კავშირი პაკისტანდან მიიღებს ისეთ საქონელს, როგორიცაა სპორტული ფეხსაცმელი, შალის ქსოვილები, კუსტარულ-მხატვრული ნაკეთობანი.

თავის მხრივ პაკისტანი საბჭოთა კავშირში შეინყიდის მანქანებსა და სამრეწველო მოწყობილობას, გემის ძრავებს, საკისრებს, თუჯსა და ნაგლინს, ქიმიკატებსა და საღებავებს.

ანგარიში გაიხსნა

● **კაირო, 10 დეკემბერი.** (საკდესი). **გუშინ აინ ახ-ხუხნის რაიონში (სუეცის უბე) გამართული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს ამერიკული წარმოების „ფანტომის“ ტიპის ისრაელთა პირველი თვითმფრინავი.**

ეგვიპტის არმიის სარდლობის წარმომადგენელ მ. ა. განაცხადა, რომ ისრაელთა 8 „ფანტომი“ შეეცადა თავს დასხმოდა ეგვიპტის პოზიციებს აინ ახ-ხუხნის რაიონში. მაგრამ მათ გზა გადაუღობეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლებმა.

ვიეტნამი

კონფლინენტის მილიტარიზაციის წინააღმდეგ

სანტიაგო, 9 დეკემბერი, (საკდესი). **აქ ნოემბრის დამლევს გაიმართა ლათინური ამერიკის ქვეყნების 12 კომუნისტური პარტიის თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ არგენტინის, ბოლივიის, კოლუმბიის, ეკვადორის, ურუგვაის, ვენესუელის, ჩილეს, ბრაზილიის, მექსიკის, პერუს, პარაგვაისა და დომინგოს კომპარტიები.**

დელეგატების მიერ მიღებულ მიმართვაში აღნიშნულია, თუ რა საფრთხეს შეიცავს ნეოკოლონიალისტური განცხადებანი, რომლებიც გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ნიქსონმა, აგრეთვე როკფელერის მოხსენება. ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიზატორული პოლიტიკა, აღნიშნულია მიმართვაში, ფართო მახეების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. მუშათა კლასის, სტუდენტობის, ინტელიგენციისა და გლეხობის ბრძოლა, რომელიც ამ ბოლო წლებში ძლიერდება, ამერიკის ნაციონალური კომპანიების ნაციონალიზაცია პერუსა და ბოლივიაში, შეიარაღებული შეტაკებანი ქალაქებსა და სოფლებში, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და ეკლესიაში დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური მიმართულების გამოვლინება — ყოველივე ეს მოწმობს, ნათქვამია მიმართვაში, „რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნეოკოლონიალისტურ პოლიტიკას წინააღმდეგობას უწევენ და ეძიებენ ახალ გზებს, რომლებიც მიგვიყვანენდნენ სახალხო დემოკრატიულ მთავრობათა შექმნამდე, რომლებიც ღალინური ამერიკის რესპუბლიკების განმათავისუფლებელი მისწრაფებების გამომხატველი იქნებიან“.

მიმართვაში გადაჭრით არის დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვები გააძლიეროს კონტინენტის მილიტარიზაცია, შექმნას ეგრეთ წოდებული „შეიარაღებული პოლიციური ძალების საყოორდინაციო სარდლობა“ — რეპრესიული ორგანო, რომელიც „ამერიკის სახელმწიფოთა მშვიდობის ძალების“ ნარინახეობა იქნება.

მსოფლიოში შესუსტდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში. ლათინური ამერიკის ხალხებისათვის მიმზიდველი ძალაა სოციალისტური სამყარო.

ლათინური ამერიკის ქვეყნების კომპარტიათა მიმართვა

◆

□

გერძენი ფაშისტები იტალიაში

რომი, 9 დეკემბერი. (საკდესი). **„ბერძენ პოლკოვნიკთა ეგზაბომ მოქმედებს ფერარიდან პალერმომდე“, ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „უნიტამ“ ახალი მონაცემები იტალიის უნივერსიტეტებში მოსწავლე ბერძენ სტუდენტთა იმ ორგანიზაციების საიდუმლო საქმიანობის შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ ხუნტას.**

გაზეთი, კერძოდ, ეხება იტალიაში მოსწავლე ბერძენ სტუდენტთა ლიგას, რომლის შტაბ-ბინა ნეაპოლშია. ეს ორგანიზაცია შექმნა მას შემდეგ, რაც საბერძნეთში ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო ხუნტამ, და მის წევრებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ ნეოფაშისტურ პარტიასთან — იტალიის სოციალურ მოძრაობასთან. ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ვინმე ნიკოლაოს ფაკუნდასი, რომელსაც მეტსახელად „საღონიკელ ჰიტლერს“ უწოდებენ. იგი უკვე 14 წელია ქალაქ პალერმოს უნივერსიტეტში ირიცხება, და მისი თანავარ საქმიანობაა პროგრესულად განწყობილ ბერძენ სტუდენტთა თვალთვალი.

ბერძენ პოლკოვნიკთა ემისრები, განაგრძობს „უნიტა“, მოქმედებენ ფერარის უნივერსიტეტშიც (ემილია-რომანიის ოლქი). ერთ-ერთი ფურცელი, რომელიც აქ გავრცელა პროგრესულმა ორგანიზაციამ—საბერძნეთის სტუდენტთა ანტიდიქტატორულმა მოძრაობამ, გვაუწყებს, რომ „შავ პოლკოვნიკთა“ ხუნტამ შექმნა ფაშისტური ჯგუფები, რომლებიც მთელ ევროპაში მოქმედებენ. იტალიაში, ნათქვამია ფურცელში, ასეთი ჯგუფები შექმნილია საბერძნეთის ნეაპოლის საკონსულოს ეგიდით.

პროვოკაციული მაკლასსმა

ამანი, 9 დეკემბერი. (საკდესი). **როგორც აქ იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, დღეს ისრაელის ორი თვითმფრინავი შეიჭრა იორდანიის საჰაერო სივრცეში და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა დასასვლებულ პუნქტებს ტელ ალ-არბაინს, ჩრდილოეთ შუნასა და გზატკეცილს ალმაშარასა და შეიხმაადს შორის (მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთი ნაწილი).**

იორდანიის მხარემ ცეცხლი დაუშინა ისრაელის თვითმფრინავებს.

სამხედრო წარმომადგენლის განცხადება

დამასკო, 9 დეკემბერი. (საკდესი). **გაზეთმა „ალ-ბაასმა“ გამოაქვეყნა სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 8 დეკემბრის დილით ისრაელებმა სცადეს სამხედრო ობიექტების აგება დაეწყოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის სირიის მონაკვეთის სამხრეთის სექტორის მახლობლად.**

სირიის ჯარებმა მოწინააღმდეგეს დაუშინეს სატანკო ქვემეხების ცეცხლი და აიძულეს შეეწყვიტათ სამშენებლო სამუშაოები. სროლის შედეგად მოსპეს ისრაელთა ოთხი ბულდოზერი, დაჭრილი ან დახოცილია 10 ისრაელი ჯარისკაცი.

10 დეკემბერი

რაზე წერს უცხოეთის პრესა

ყოველი მხრიდან

ოსლოიოს პრესა კვლავ იხილავს სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების მოსკოვის შეხვედრის შედეგებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს შედეგები დიდი კონსტრუქციული წვლილია ევროპის პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისა და მოწესრიგების საქმეში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადებას ევროპის უშიშროების საკითხებზე 1970 წელს სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ. არ შეიძლება კიდევ გადაიდოს ევროპის უშიშროების საქმე, — წერს უნგრული „ნეპსაბა“. — დადგა დრო, რომ ეს საკითხი გადაიჭრას“.

„უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მოსკოვში ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლისა და არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ანვარ სადათის მეთაურობით.

საზღვარგარეთის პრესა კომენტარს უძღვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის განცხადებებს ვიეტნამის საკითხზე, რომლებიც მან გააკეთა თავის უკანასკნელ პრეს-კონფერენციაზე. მიმომხილველთა დიდი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეს განცხადებანი ადასტურებენ ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას განაგრძოს აგრესიის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. „პოზიცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს უკავია, — წერს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“, — მოწმობს, რომ შეერთებული შტატები ცდილობს ვიეტნამის საკითხი გადაწყვიტოს ომის გზით, იმ გზით, რომ თანდათანობით გადასცეს საბგონის რეჟიმის არმიის სახმელეთო საბრძოლო ოპერაციებს, რაც განსორციელდება ამერიკის ავიაციისა და არტილერიის, აგრეთვე სხვა დამკვრელ დაჯგუფებათა დახმარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განუსაზღვრელი ვადით განაგრძოს აგრესია ვიეტნამში“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ნიქსონის გამოსვლა „ნათლად გამოხატავს პენტაგონის ოწმენოს, რომ ვიეტნამის კონფლიქტი ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ გადაიჭრება ომის გზით. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი ხაზს უსვამს, რომ ნიქსონმა უპასუხოდ დატოვა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი: აპირებს თუ არა იგი გამოიყვანოს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ჯარები ვიეტნამიდან?

პოლონური გაზეთი „სლოვო პოვშეხნე“ ბეჭდავს კომენტარს საბერძნეთის სამხედრო ხუნტასა და იტალიის უკიდურეს მემარჯვენე წრეებს შორის აწ უკვე ცნობილი ფაშული კავშირის გამო. გაზეთი წერს კერძოდ: „ეხება პოლკოვნიკებს“ „ხუნტა, რომელიც უკვე ორნახევარი წელია მართავს საბერძნეთს, მიიყიდა იმ დასკვნამდე, რომ კარგი იქნება თავისი „მიღწევები“ დიქტატურისა და ტეროროს დარგში გაუზიაროს სხვა ქვეყნებს...

საზღვარგარეთის პრესის თემაა დაძაბული მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის მხედრობინოს აგრესიის ახალი დანაშაულებრივი აქტები არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. (საკდესი).

თოვლის პაპა... რასიზმის სიმბოლო

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. ეგოროვი გვატყობინებს:

შობის წინ ამერიკის დიდ უნივერსალურ მაღაზიებში გამოჩნდა სარეკლამო „სანტა-კლაუსები“, ანუ „თოვლის პაპები“. აბა ვინ წარმოიდგინდა, რომ კეთილი „სანტა-კლაუსი“ **ამერიკის შეერთებულ შტატებში რასიზმის სიმბოლო გახდებოდა, სანამ ზანგთა ორგანიზაციამ — სამხრეთში ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფედერაციამ ქალაქ ფინეგანში (ოჰაიოს შტატი) არ წამოაყენა წინადადება, რომ მოეწვიათ ზანგები „სანტა-კლაუსების“ როლის შესასრულებლად. უნივერსალური მაღაზიების ადმინისტრაციამ ამაზე სასტიკი უარი თქვა. ადგილობრივი სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ლაზარუსმა და ვაჭართა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა** ჟიმებთან. **უკანასკნელი ამბები ადასტურებენ, რომ ეს კოლონიურ-რასისტული ბლოკი იმპერიალიზმის იარაღია აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თავისუფლებასა და უშიშროებას. აფრიკაზე ამ იმპერიალისტურ შეტევას უპირისპირდება აფრიკის ქვეყნებისა და მათი ხალხების მტკიცე ერთობა, რომლებიც იბრძვიან აფრიკის მიწა-წყალზე კოლონიალიზმის უკანასკნელი ნამთების ლიკვიდაციისათვის.**

საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა ი. ა. მალიკმა, სავსებით უჭერს მხარს სენეგალის სამართლიან და კანონიერ მოთხოვნებს, რომ საჭიროა უშიშროების საბჭომ რაც შეიძლება მკაცრად დაგმოს პორტუგალიელი კოლონიზატორები აფრიკის ქვეყნის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გამო, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ და არ დაუშვან შეიარაღებული თავდასხმები და სენეგალის ტერიტორიული ხელშეუხებლობის სხვა დარღვევანი.

უშიშროების საბჭოს გუშინდელ დღის სხდომაზე პაკისტანის წარმომადგენელმა ადა შაქიმ ოთხი სახელმწიფოს (ალჟირის, ნეპალის, პაკისტანისა და ზამბიის) სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე. ფინეთის, სირიის, კოლუმბიისა და ზამბიის დელეგატებმა გამოთქვეს აზრი შეტანილი პროექტის გამო. მათ სასტიკად დაგმეს პორტუგალიელი კოლონიზატორთა განდიტიზმის აქტები, რომლებიც იდიოლობენ დამონონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკელი ხალხები და მოუწოდეს უშიშროების საბჭოს ბოლო მოუღოს ამას.

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). **დღეს ბამბინანგეულნ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაამთავრა განხილვა სენეგალის საჩივრისა აგრესიის იმ ახალი აქტების გამო, რომლებიც პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა ჩაიდინეს ამ ქვეყნის ტერიტორიის წინააღმდეგ.**

მიღებულ რეზოლუციაში საბჭომ დიდი შემფოთება გამოთქვა ვითარების გამო, რომელიც იმან გამოიწვია, რომ პორტუგალიის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს სენეგალის სოფელ სამინეს. რეზოლუციაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

უშიშროების საბჭომ გადაჭრით დაგმო პორტუგალიის ხელისუფალნი, რომლებმაც ეს აგრესიული აქტი ჩაიდინეს, და კვლავ მოუწოდა პორტუგალიას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სენეგალის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. რეზოლუციამ აგრეთვე აღნიშნა, რომ, თუ პორტუგალია არ შეასრულებს ამ მოთხოვნებს, საბჭო კვლავ შეიკრებება სხვა დონისძიებათა განსახილველად და განსახორციელებლად.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა რეზოლუციის პროექტის კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს.

ფოტოინფორმაცია

სოციალიზმის ქვეყნებში

ბერლინის დემოკრატიული „რესპუბლიკა. დრეზდენში შართულ გაიმართა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. ახლა ქალაქს მრავალსართულიანი ნაოთლი შენობები ამშვენებენ (სურათი მარჯვნივ ზემოთ).

საკდესის ფოტოქრონიკა.

ბულგარეთი. კლოვდივის ბოსტნეული კულტურების ინსტიტუტი „მარიცა“ დიდ მუშაობას ეწევა სელექციისა და აგროტექნიკის მთელი რიგი საკითხების გადასაწყვეტად. აქ გამოყვანილია მაღალხარისხოვანი კამიდორისა და ჭიწაკის მრავალი ჯიში. კლოვდივის ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს მეურნეობებს მაღალოსავლიანი ჯიშების დანერგვაში, მეგობრობაში მანქანების გამოყენებაში, სარწყავი ფართობების გაფართოებასა და ხელოვნური სასუქების გამოყენებაში.

სურათზე: ინსტიტუტის ხელოვნური სათბურები.

საკდესის ფოტოქრონიკა.





ქუბის რესპუბლიკა. საპატის ნახევარკუნძული, რომელიც წინათ მეფეებისა ეკუთვნოდა, ერთ-ერთ ტურისტულ ადგილად იქცა. ამ ადგილებში ბევრი ისტორიული ძეგლია. ეს ადგილები ბევრ ტურისტს იზიდავს. ამ ადგილებში ბევრ ტურისტს ეგზოტიკა, ეგზოტიკა, ეგზოტიკა.

სურათზე (ქვემოთ): მშრომელთა დასასვენებელი ცენტრის საერთო ხედი ლაზუნა და ტესიროს ტბაზე.

საკდესის ფოტოქრონიკა.

გადაჭრით გმობენ პორტუგალიელ კოლონიზატორებს

უშიშროების საბჭოში

◆

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო გუშინ განაგრძობდა სენეგალის საჩივრის განხილვას. ეს საჩივარი შეეხება აგრესიის ახალ აქტებს, რომლებიც მის წინააღმდეგ ჩაიდინეს პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა.** დილის სხდომაზე გამოვიდა სენეგალის წარმომადგენელი ირაკიმ ბოი. **მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ პორტუგალიის რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა 7 დეკემბერს კვლავ დაუშინეს არტილერიის ცეცხლი სოფელ სამინეს. დაიხოცა 5 მცხოვრები და ერთი სერიოზულად დაიჭრა, მიყენებულია მატერიალური ზარალი.**

დელეგატებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საკითხის განხილვაში, გადაჭრით დაგმეს ლისაბონელი კოლონიზატორების მოქმედება, რომლებიც ნატოს დახმარებაზე დაყრდნობით ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი კოლონიური სამფლობელოები და ჩაახშონ აფრიკელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

კოლონიური ომი, რომელსაც პორტუგალიელი კოლონიზატორები უკვე მრავალი წელია ეწევიან აფრიკაში პორტუგალიის კოლონიათა ხალხების წინააღმდეგ, სულ უფრო მეტად იქცევა პორტუგალიის ომად აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, განაცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა.

პორტუგალიელი კოლონიზატორები, თქვა საბჭოთა დელეგატმა, ეყრდნობიან ნატოს წევრ სახელმწიფოთა სამხედრო და სხვა დახმარებას, აერთიანებენ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის რასისტულ-ფაშისტურ რეჟიმებთან. „ეს ბლოკი ამერიკელ-რასისტული ბლოკი იმპერიალიზმის იარაღია აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და სერიოზული საფრთხეს უქმნის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თავისუფლებასა და უშიშროებას. აფრიკაზე ამ იმპერიალისტურ შეტევას უპირისპირდება აფრიკის ქვეყნებისა და მათი ხალხების მტკიცე ერთობა, რომლებიც იბრძვიან აფრიკის მიწა-წყალზე კოლონიალიზმის უკანასკნელი ნამთების ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა ი. ა. მალიკმა, სავსებით უჭერს მხარს სენეგალის სამართლიან და კანონიერ მოთხოვნებს, რომ საჭიროა უშიშროების საბჭომ რაც შეიძლება მკაცრად დაგმოს პორტუგალიელი კოლონიზატორები აფრიკის ქვეყნის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გამო, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ და არ დაუშვან შეიარაღებული თავდასხმები და სენეგალის ტერიტორიული ხელშეუხებლობის სხვა დარღვევანი.

უშიშროების საბჭოს გუშინდელ დღის სხდომაზე პაკისტანის წარმომადგენელმა ადა შაქიმ ოთხი სახელმწიფოს (ალჟირის, ნეპალის, პაკისტანისა და ზამბიის) სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე. ფინეთის, სირიის, კოლუმბიისა და ზამბიის დელეგატებმა გამოთქვეს აზრი შეტანილი პროექტის გამო. მათ სასტიკად დაგმეს პორტუგალიელი კოლონიზატორთა განდიტიზმის აქტები, რომლებიც ცდილობენ დამონონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფრიკელი ხალხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფოსტა

მე-8 გვერდი, ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1969 წ.

ქართული პიესა ესტონეთში

ესტონეთში რაკვერეს სახელმწიფო თეატრმა დადგა ქართველი დრამატურგის ბ. ხუხუაშვილის პიესა „ცა და მიწა“. სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის პრესამ. ადგილობრივმა ლიტერატურულმა ორგანომ „სირპ ია ვასარმამ“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა რაკვერელთა მიერ დადგმულ სპექტაკლს. წერილის ავტორია თეატრმცოდნე ანტს იარვი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ცა და მიწა“ საინტერესო და ამალელვებელი წარმოდგენაა და საგულისხმო ფაქტია რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში.

სპექტაკლი ნაჩვენები იქნა არა მარტო რაკვერეში, არამედ ესტონეთის სხვა ქალაქებშიც: ტარტუში, პაირნში და სხვ. აღსანიშნავია, რომ კინგისეპის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე რაკვერეს თეატრმა „ცა და მიწით“ დაიწყო გასტროლები ტალინში. პიესა ესტონურ ენაზე თარგმნა ქართველოლოგმა მ. პაუმ. დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს რეინ ოლმარს, მხატვრული გაფორმება — მერსერეს.

მსახიობებმა გადაწყვიტეს რუსულ ენაზე შეისწავლონ როლები და ეს სპექტაკლი წარმოადგინონ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

„ცა და მიწის“ დადგმა განზრახული აქვს რუსულ დრამატულ თეატრს ტალინში. („კომ. კორ.).



ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფოტონამუშევრების გამოფენა



თბილისის ჩაის სახლში გახსნილია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფოტოგამოფენა, რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

გამოფენა მოწყობილია ჩაის სახლთან არსებულ ფოტოკლუბ „საქართველოს“ ინიციატივით. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციასთან ერთად.

გამოფენაზე წარმოდგენილია აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს 70 ფოტოხელოვანის 200-ზე მეტი ნამუშევარი — ჩვენი თანამედროვეთა პორტრეტები, ყანრული და დოკუმენტური ფოტოგრაფიები, პეიზაჟები, რომლებიც ახასიათებენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დღევანდელ დღეს. საუკეთესო ნამუშევრებისათვის მიეკუთვნათ სპეციალური პრიზები.

სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის პრიზები მიიღეს უხუცესმა თბილისელმა ფოტოოსტატმა დ. დავიდოვმა, ქართველმა ფოტოჟურნალისტმა ს. კილაძემ, ფოტომოყვარულმა ი. ჩაგადაევმა და ბაქოელმა რ. აკოფოვმა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა თავისი პრიზები მიანიჭა ბაქოელ ი. გონიაშვილს, ერევნელ ა. ქოჩარსა და თბილისელ მ. თათარიშვილს.

გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის“ პრიზები მოიპოვეს ბაქოელმა რ. ნაგიევმა, ერევნელმა ა. ეკეკიანმა, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზი — ს. ედიშერაშვილმა (თბილისი).

საშენ მასალათა ქარხანამ დააწესა ექვსი პრიზი, რომლებიც მიიღეს თბილისელებმა ს. ედიშერაშვილმა, ვ. გენგიურმა, ე. მუმლაძემ, ბაქოელებმა ი. რახილმა და გ. ფიშმანმა, ერევნელმა ა. ქოჩარმა.

ჩაის სახლის სპეციალური პრიზები მიენიჭათ სომხეთის წარმომადგენლებს მ. შახბაზიანს, პ. პოღოსიანს, ვ. ყასაბიანს. სამტრესტის პრიზი მიიღო ერევნის ფოტოკლუბმა.

ფოტოკლუბ „საქართველოს“ პრიზი მიიღო ბაქოელმა რ. ელდაროვმა, „სპორტრესტის“ საჩვენებელი სახლის პრიზი — ზ. დათუაშვილმა (თბილისი).

• • •

სურათებზე: მარცხნივ ზემოთ — ა. ალიჯანიანის ნამუშევარი „მაგი თვალები“. ქვემოთ — რ. ნაგიევის ფოტო „მშენებლობის გრაფიკა“; მარჯვნივ — მ. თათარიშვილის ფოტო „ბათუმელი მებადური“.

ბელადს მიეძღვნა

გრიგოედოველთა პრემიერა

ლენინის თანამებრძოლს, ერთ-ერთ პირველ საბჭოთა დიპლომატ ქალს ა. კოლონტაის ეძღვნება ა. და პ. ტურების პიესა „საგანგებო ელჩი“, რომელიც ამ დღეებში დადგა ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატულმა თეატრმა.

მთავარ როლს ასრულებს საქართველოს სახალხო არტისტი ნ. ბურმისტროვა.

სპექტაკლში მონაწილეობს თითქმის მთელი დასი. როლებს ასრულებენ საქართველოს სახალხო არტისტები დ. სლავინი, მ. პიასეცკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. ბაიკოვსკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. შმელიოვი, მ. მიხეევი, ი. ზლობინი, გ. ვოლინეიკი და სხვები.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა საქართველოს სახალხო არტისტმა, თეატრის მთავარმა რეჟისორმა ს. ჭელიძემ. წარმოდგენა მხატვრულად კააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. დონეოვამ.

სპექტაკლი მიეძღვნა ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მუსიკა და მშენებლები

ნაციონალურად მუშაობს რუსთავის მშენებელთა კლუბთან არსებული სახალხო უნივერსიტეტის მუსიკალური ფაკულტეტი. ფაკულტეტის უკანასკნელი მეცადინეობა მიეძღვნა თემას „ხალხური მუსიკის წყაროები“. ლექცია წაიკითხა მუსიკათმცოდნემ ი. კაპანაძემ. შემდეგ მეცადინეობაზე წაკითხული იქნება ლექცია „მუსიკის უანრები“.

ო. სვეტლოვა.

ქ. რუსთავი.

ლიტერატურა და ხელოვნება

ნარკომანის აღსასრული

ამ ჩანაწერების მიღმა ოდესღაც ადამიანი იდგა, რომელსაც ერთ დროს კეთილად იხსენიებდნენ, პატივს სცემდნენ და მორიდებით ესაუბრებოდნენ, მაგრამ დრომ განვლო, და იგი შავ ლაქად გაჩნდა თეთრ ფურცელზე: სიცოცხლის მტერთა — ნარკომანთა უდღეურ ოჯახს კიდევ ერთი წევრი— ტატიანა ბიძინიანი შეემატა.

აღრე როგორც კი ინათებდა, ტატიანა ფეხზე წამოიჭრებოდა, დედის სარეველს მიუახლოვდებოდა, რომელიც ღრმად სუნთქავდა და მოახლოებულ სიკვდილს ებრძოდა. სულთმობრძავი ოდნავ შეირხეოდა, პირმშოს სკამზე მიუთითებდა, მოდენებულ ხელს მკლავზე მოუსვამდა და ცრემლნარევი ხმით დაიწყებდა:

— ბუნებას ასე დაუწესებია, — მშობლები უნდა მოკვდნენ და შვილები დარჩნენ, რომ წინაპართა ბილიკებზე ბალახი არ აბიბინდეს... იცი, როდეს მიყვარხარ? — ოდნავ შეყოვნდებოდა და განაგრძობდა, — ამას მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა შვილი გეყოლება.

— ნუ ამბობ ასე, დამშვიდდი!

რამდენიმე წუთს გრძელდებოდა დედა-შვილის გულთბილი საუბარი. დანიშნულ დროს კი ქალიშვილი ოთახს ტოვებდა, აჩქარებული ნაბიჯით მიემართებოდა აფთიაქისკენ, საიდანაც მძიმედ დაავადებული დედის ტკივილების დამაყუჩებელი წამალი უნდა გამოეტანა.

ობლობაში გაზრდილს მართლაც ძალიან უყვარდა დედა. იგი ხომ ყოველთვის სიკეთეს შთააგონებდა მას, ძილისწინ ხარეცელს უთბობდა, ლუკმას მხოლოდ მაშინ აიღებდა, როცა საყვარელ გოგონას დააპურებდა, ღამე ბარე ათჯერ დახედავდა მძინარეს, სუფთად და კოხტად გამოაწყობდა სკოლისკენ მიმავალს. ახლა კი ტატიანას ხელიდან ეცლებოდა ის, ვინც მისი ფუძე და ფარი იყო.

— დედი, არა, შენ არ უნდა მოკვდე! — იტყოდა გულდათუქული, ლოგინზე დაემხობოდა და ცხარედ ატირდებოდა.

— გადამირჩინეთ დედა! — ხან ერთ, ხან მეორე ექიმის კარებთან იდგა სიცოცხლით სავსე ქალიშვილი, რომელსაც დედის ხელები ძალიან, ძალიან სჭირდებოდა ახლა, როცა თვალგახელილმა უზარმაზარი სამყარო იხილა.

დრო გადიოდა.

დილაადრიან მუდამ აფთიაქის კარებთან იდგა თვალებმაყვალა, მოწყენილი სახის ტატიანა.

— მობრძანდით! — თავაზიანად ეგებებოდნენ მას. იცოდნენ, რა ცეცხლი ტრიალებდა ამ პატარა, ფაკიზი ქალიშვილის გულში.

— გმადლობთ! — იტყოდა, მკერდში იხუტებდა დედის ტკივილების დამაყუჩებელ წამალს და სირბილით მიემართებოდა სახლისკენ.

ნაბიჯს არასოდეს არ ანელებდა, მაგრამ ერთხელ გზაზე შაგვრემანი ახალგაზრდა გადაეღობა, მაცდურად გაუცინა, ხელი დაუქნია და გაუჩინარდა.

— ვინ არის ნეტავ? — სული აუფორიაქდა ტატიანას. — ასეთი ღიმილი მას არასოდეს არ უნახავს... ეს

— თქვი, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— მეშინია, ცივი წყალი არ გადამასხა.

— რას ამბობ!

— მეშინია-მეთქი.

— ავადმყოფ დედას გეფიცები!

— მწამს, მაგრამ მაინც ვერ გამიბედნია.

— მენდე, შენი გულისთვის ყელამდე წყალში ჩავდგები.

ვაპანი ჩაფიქრდა, ერთი ამოიხვნეშა და დაიწყო:

— არ შემიძლია მოგაბაყუო, ჩვენ

— ცხოვრება წინ არის, ყველაფერს მოესწრები, მხოლოდ მორფი უნდა შეიყვარო.

— რა შავ-ეკად მჭირდება?

— მე ხომ ჯერაც არა ვარ განკურნებული. ასეც არ იყოს, მორფს შეუძლია ყოველგვარი დარდისა და სულიერი ტკივილებისგან გაგათავისუფლოს.

და ამრიგად ნარკომანთა უდღეური ოჯახის წევრებს ახალი წევრი — ტატიანა ბიძინიანი შეემატა. მორფმა მართლაც ყველაფერი — დედის საფლავი, დარდი, ადამიანობა, სიყვარული, ფიქრი და ოცნება დაავიწყა. იგი თანდათან სიბინძურის ჭაობისკენ დაეშვა.

ფული შემოაკლდა. ტატიანამ ნელ-ნელა გაზიდა სახლიდან დედის მიერ შეძენილი ავეჯი.

მალე ავეჯის ფულიც გამოელია. ტატიანა კი, რომელიც დღითიდღე უმატებდა მორფის მიღებას, დაჭრილ აფთარს დაემსგავსა, — მუსად იყო ბორტყების ვეას დასდგომოდა, მაგრამ გაახსენდა, რომ მის განკარგულებაში იყო სახლ-კარი, სადაც იგი დაიბადა და ჟაიზარდა...

ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ ბათუმში, სვერდლოვის ქუჩაზე უკანასკნელად გადაავლო თვალი ტატიანამ მშობლების პატიოსანი შრომით მონაგარ ოჯახს, რომელიც უკვე განადგურებული იყო. მერე გამუშეწრეული ნარკომანი გაპყვა ქუჩას. გათენდა და სწორედ იმ ქუჩაში იპოვეს ტატიანას უსულო გვამი.

იქნებ ვისმეს არაადამიანურობაში ჩამოერთვას, მაგრამ როგორც გავიგეთ, არც ერთ პატიოსან ადამიანს არ ჩამოვარდნია ცრემლი... არც ვაპანს ჩამოუგდია კურცხალი. ვაპანმა, რომელმაც სიკვდილის მორევში გადაისროლა სიცოცხლით აღსავსე ქალიშვილი, — ტატიანა ხელის ჩაქნევით გამოიგლოვა.

ვაპან შაინიანი ახლაც ცოცხლებში ირიცხება — მეუღლე ელენე მაისურაძესთან ერთად, რომელიც მორფინისტი გახადა, ბათუმში ცხოვრობს, უსაქმურობაში ატარებს დროს და ზიზღიან დღეებს საკუთარი სხეულის წამებაში აღამებს.

— როდემდის?

ყოველგვარ ბორტყებას, სისაძაგლესა და ავკაცობას ხომ დასასრული აქვს.

გ. გვაქაბია,

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მეხუთე ჯგუფის უფროსი.

ტურნე დამთავრდა

ბეირუთი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ტურნეს დამთავრებისას საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა ლიბანის კლუბებს „რესინგისა“ და „ნეიმის“ ნაკრები გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 7:2 (4:0). სამი ბურთი გაიტანა ხილგაძემ, თითო. — პაპაევმა, ხუსაინოვმა, იანკინმა. და თაეის კარში ერთ-ერთმა ლიბანელმა ფეხბურთელმა.

ჭაბუკ „დ'არტანიანთა“ ასპარეზობა

ლენინგრადი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჭაბუკ მოფარიკაველთა ასპარეზობა, მონაწილეობდა 11 მოკავშირე რესპუბლიკების და მოსკოვისა და ლენინგრადის ოთხასამდე სპორტსმენი.

შეუპოვარი გამოდგა დაშნით მოფარიკაველთა ასპარეზობა თბილისისა და ლენინგრადის წარჩინებულ ფარიკაველებს ი. სიხარულიძისა და ვ. სიროვატკოს შორის. გიმარჯვა ი. სიხარულიძემ, რომელმაც ჩემპიონობა და ოქროს medali მოიპოვა.

ჭაბუკ მოფარიკაველთა ეს ტურნირი ფაქტიურად მოზრდილთა საკავშირო პირველობის გაგრძელება იყო. ამიტომ მისმა შედეგებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა საერთო გუნდურ ჩალეგში. პირველობა მიეკუთვნა ოსფსრ-ის კოლექტივს. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის მოფარიკაველთა გუნდი, მესამეზე — ბელორუსიის გუნდი.

ლიდერობს ტ. პეტროსიანი

ბალვე-დე-მალიორკა. აქ გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი კვლავ ერთპიროვნული ლიდერი გახდა. თითბმეტი ტურის შემდეგ მას 9,5 ქულა აქვს. მორიგი შეხვედრა ესპანელ ხ. კორალთან პეტროსიანმა ჯერ გადადო, მაგრამ პარტიის განახლების შემდეგ 54-ე სვლაზე გაიმარჯვა. ექს-ჩემპიონს შეიძლება კვლავ დაეწიოს დანიელი ბენტ ლარსენი, რომელსაც კარგ მდგომარეობაში აქვს გადადებული პარტია მეორე ესპანელ რ. ტორანთან. ლარსენს ახლა 8,5 ქულა აქვს.

ჯერჯერობით მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიელი ვ. ჰორტი — 9 ქულა. მესამე შედეგი — 8,5 ქულა — აქვთ, გარდა ლარსენისა, ბ. სპასკის და ვ. კორჩნოის. მსოფლიოს ჩემპიონმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლ. საბოსთან, მაშინ როცა ვ. კორჩნოიმ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ბრაზილიელ ე. მეკინგთან.

◆

ორი მატჩი

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებისათვის.

სსრ კავშირის ჩემპიონი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი რიგას ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. წარმატება ჩემპიონს ხვდა ანგარიშით 90:83.

ტარტუში თამაშობდნენ „ალეკი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“. მატჩის ბედი ორმა ქულამ გადაწყვიტა. გიმარჯვეს ტარტუს კალათბურთელებმა 86:84.

დღეისათვის ლიდერია ცსკა, რომელსაც ექვსი თამაშიდან ხუთი ქულა აქვს.

ასკარეზობათა კალორამა

● ევროპის ტრადიციულ ტურნირებში საბჭოთა კავშირიდან გამოვა კალათბურთელთა სამი კოლექტივი. ესენი არიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდები. ცსკა და რიგის ტტტ მონაწილეობას მიიღებენ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, თბილისის „დინამო“ — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. საბჭოთა გუნდები ახასპარეზობაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

● თბილისში ფინეთის ჭოფნი ჰქონდა რესპუბლიკურ ჩემპიონატს კლასიკურ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით პრეველი ადგილები დაიკავეს — ა. ჩალაფრამ, ზ. ჯაფარიძემ, შ. გიგოლაშვილმა, ჯ. მეგრელიშვილმა, ო. ტატიშვილმა, ი. ჭაჭიაშვილმა, ი. ჩხარტიშვილმა, ე. გოგლიჩიძემ, რ. მოსესშვილმა და თ. ქურციკიძემ.

● ვორონეჟის სტუმრები იყვნენ დასავლეთ ბერლინის ტანმოვარჯიშე ქალები. აქ მათ საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ ვორონეჟის ნაკრებთან.

შეხვედრა, რომელიც მიმდინარეობდა ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტის სასახლეში, დამთავრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვებით. უძლიერესი იყო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ბურდა. მრავალჭიდში მან 38,05 ქულა შეაგროვა.

ნანას რევანში

ობილისში ნ. გაფრინდაშვილისა და ბ. კუშნირის მატჩი მიმდინარეობდა, როდესაც უნივერსიტეტის პედაგოგებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყეს საერთაშორისო ოსტატ ნ. ალექსანდრიას. სსრ კავშირის ჩემპიონმა მომდევნო ბრძოლაში წარმატება უნინასწარმეტყველა მსოფლიოს ჩემპიონს, შემდეგ კი ასეთ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა:

— როგორი ანგარიში გაქვთ პრეტენდენტთან?

— მე მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, 1967 წელს სუბოტიცაში, სადაც პრეტენდენტთა ტურნირი მიმდინარეობდა. სავსებით ნორგები პოზიცია მქონდა, მაგრამ შევცდი და წავაგე.

ამას წინათ ყოფილი პრეტენდენტი და სსრ კავშირის სამეფის ჩემპიონი უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. ნანამ ღირსეული რევანში აიღო სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე მოსკოვ-საქართველოს ნაკრებთა მატჩში.

აი, ეს პარტია:

ნ. ალექსანდრია — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 (კუშნირის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიცილიურ დაცვას, რომელიც სავსებით შეესატყვისება მის სტილს, 2. Df3 Dc6 3. ‹b5 (რა თქმა უნდა, ნ. ალექსანდრიასათვის მოულოდნელი არ ყოფილა სიცილიური დაცვის არჩევა. ყველაფერს რომ თავი დავახებოთ, იგი კუშნირმა ნ. გაფრინდაშვილთან მატჩშიც გამოიყენა. მოსკოველი ოსტატი განსაკუთრებით საშიშია, როდესაც შესწავლილ სქემებს მიმართავს. ამიტომ ნანამ მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადა — ნაკლებად ხმარებული ვარიანტი გამოიყენა. თუმცა სიცილიურ დაცვას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა — ი. ბოლესლავსკის, ა. კობლენცის, რ. შვარცისა და სხვათა წიგნები, მაგრამ ამ ვარიანტის ანალიზს ვერც ერთ მათგანში ვერ ნახავთ. მისი მკვლევარი გახლავთ ცნობილი თბილისელი ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელიც მას წლების განმავლობაში წარმატებით იყენებს). 3. ... g6, 4. 0—0, Df6 5. ‹e1 ‹g7 6. c3 a6 7. ‹f1 (შეკმნილ პოზიციაში უდავოდ უფრო ზუსტი სვლაა, ვიდრე ტრადიციული 7. ‹a4) 7. ... 0—0. 8. d4 cd 9. cd d5 10. e5 De4 11. h3 (‹g4-ის წინააღმდეგაა მიმართული) 11. ... f6 12. ef ef (ვრთი მხრივ, თეორ ფიგურებს საშუალებას არ აძლევს დაეუფლონ მნიშვნელოვან e5-უჯრას, მაგრამ ზღუდავს საკუთარ g7 კუს�კ). 13. Dc3 Df:c3 14. bc Da5 15. ‹d3 (რათა შავებს მოუსპოს საშუალება ‹5 უჯრაზე გამოიყენონ კუ) 15. ... ‹d7 16. ‹a3 ‹e8 17. ‹b1 ‹c7 18. ‹c5 b5 (სადა, ‹ტკიცეე თამაშით ნ. ალექსანდრია ინიციატივას დაეუფლა. შავები აქამდე მხოლოდ თავდაცვას უნდებიან, არა აქვთ აქტიური მანევრების განხორციელების საშუალება). 19. g:e8+ g:e8 20. Dd2 Dc4 21. a4 ‹f4 22. Dd:c4 dc (მას შემდეგ, რაც თეორებმა მაღალწინეს მიზანს, საკრძხობლად დაასუსტეს მეტოქის ლაზიერის ფრთა, კუ ერთხელ კიდევ უბრუნდება საწყის უჯრას. გაიერის კიდევ რამდენიმე სვლაც, და სწორედ ეს კუ გადამწყვეტი ძალით ჩაებმება თამაშში!) 23. ‹f1 ‹e4 24. ab ab (შავი ფიგურების აქტივობა ‹ზრჩენებითია. შემდეგი სვლით ნ. ალექსანდრია ეუფლება a ხაზს და ბოჭავს მეტოქის ძალებს) 25. ‹a1 ‹d5 26. ‹a7 ‹c6 27. ‹g4 ‹b7 28. ‹g3 ‹c6 29. ‹e2! (ბრწყინვალე სვლა, რომელიც ბრძოლის ბედს თეორების სასარგებლოდ წყვეტს. რა უნდა მოიმქმედონ შავებმა?! თუ 29. ... g:e2, მაშინ 30. ‹b8+! როგორც ვხედავთ, თეორები არათუ უკან იბრუნებენ კუს, არამედ ხელი იგდებენ დამატებით „დაკლასაც“, თეორების სვლა ფრიად ეფექტურია). 29. ... ‹:g2+ 30. ‹:g2 ‹:g2 31. ‹:c4+ bc 32. Df:g2 ‹h6 (ჯერჯერობით დაფაზე მატერიალურად თანასწორი მდგომარეობაა, მაგრამ შავები გარდუვალად აგებენ c4 პაიკს, რის შემდეგ მათი პოზიცია უიმედო ხდება. მათ ანა აქვთ საშუალება ებრძოლონ თეორების გადაბმულ გამსვლელ პაიკებს). 33. ‹a4 ‹c8 34. ‹:c4 ‹f8 35. Dg5! Df7 36. Df:e4 Df:e6 37. d5+ **და თეორებმა მოიგეს.**

ნ. ალექსანდრიას თამაში ამ პარტიაში ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. როდესაც ამ პარტიას არჩევ, ძნელია დაიჯერო, რომ ორი დიდი შეჯიბრების (საერთაშორისო ოლიმპიადა და ქალთა საკავშირო ჩემპიონატი) შემდეგ ჩვენი ჩემპიონი მეტად დაღლილი იყო. ეს პარტია უფრო ჰგავრაკს ნოწყურებული ოსტატის ნათამაშევს ჰგავს. იგი დიდი თანმიმდევრობითა და გონებამახვილობით არის წარმართული.

გ. ბამრეკელი.

ნარკომანის აღსასრული

ობილისის კუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ

აცხადებს, რომ 1970 წლის 2-დან 10 იანვრამდე ქ. თბილისში მოეწყობა ზამთრის სასწავლო სავამოცდო სესია.

გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტები დატოვებულ იქნებიან იმავე კურსზე ან გაირიცხებიან ინსტიტუტიდან.

სტუდენტებმა სესიაზე გამოცხადებისას უნდა წარმოადგინონ ცნობა სამსახურის შესახებ, გაკეთილი სათანადო უწყების მიერ (მასწავლებლებმა — განათლების განყოფილებიდან).

სესიაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტებმა წარილობითი სიბუთების წარმოდგენით უნდა აცნობონ ეს დეკანატს მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე.

რეგისტრაცია იწარმოებს 1970 წლის 2 იანვარს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ინსტიტუტის შენობაში.

საერთო საცხოვრებლით სტუდენტები უზრუნველყოფილი არ იქნებიან.

შენიშვნა: გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისგან გამოცდების მიღება წარმოებს ინსტიტუტში ოთხშაბათობით და შაბათობით დღის ორი საათიდან, აგრეთვე საკონსულტაციო პუნქტებში კონსულტაციების დღეებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

თბილისის რკინიგზის № 31 პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1969-70 სასწავლო წლის შემდეგ სპეციალობებზე: ელმავლის მემანქანის თანაშემწეები, თბომავლის მემანქანის თანაშემწეები, რკინიგზის სადგურის მორიგეები.

ჩაირიცხებიან ქალაქისა და სოფლის 17-25 წლის ასაკის, საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, აგრეთვე სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულნი.

სწავლების ხანგრძლივობაა ერთი წელი და ექვსი თვე (წელიწადხეხვარი).

სასწავლებელში დამატებით მიიღებიან აგრეთვე არასრული საშუალო (8 კლასის) განათლების მქონე, ქალაქისა და სოფლის 16-17 წლის ახალგაზრდები შემდეგ სპეციალობებზე:

1. ვ/ბ კორდინატული ავტომატური სატელეფონო სადგურების შემკეთებელი მონტიორები, 2. ლიფტების მემონტაჟეები, 3. საკონტაქტო ქსელის მონტიორები.

სწავლების ხანგრძლივობა ორი წელი.

სასწავლებელში ყოფნის დრო ჩაითვლება უწყვეტ სტაჟში.

წ�წადნახევრიანი ჯგუფების სპეციალობებზე ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით.

სასწავლებლის წარმატებით დამთავრებისას შეიძლება მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში კონკურსგარეშე.

ორწლიანი სწავლების სპეციალობათა ჯგუფებში ჩარიცხულნი იმყოფებიან სახელმწიფო კმაყოფაზე (სამკერადი კვება, ნაცმა, კომუნალური მომსახურება).

სასწავლებლის ყიელა მოსწავლე იღებს საწარმოო სწავლებაზე და საწარმოო-პრაქტიკაზე გამომუშავების 33 პროცენტს.

საერთო საცხოვრებლით დაკმაყოფილდებიან საკონტაქტო ქსელის ელექტრომონტიორების ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სიბუთები:

1. განცხადება. სასწავლებელში მიღების შესახებ, 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. პასპორტი — ვისაც წლოვანებით ეკუთვნის, 4. მიწერის მოწმობა და სამხედრო ბილეთი, ვისაც ასეთების წარმოდგენა ეხება, 5. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (წელიწადნახევრის სწავლების ვადით ჯგუფებში ჩასარიცხნი), 6. რვა კლასის დამთავრების მოწმობა (ორწლიანი სწავლების ვადით ჯგუფებში ჩასარიცხნი). 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. ავტობიოგრაფია, 9. დახასიათება, 10. ცნობა ოჯახური პირობების შესახებ, 11. ფოტოსურათი 3X4 — 5 ცალი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი არდადეგებსა და დღესასწაულის დღეებში მატარებლით ახარგებლებენ დადგენილი შეღავათებით.

სიბუთები მიიღება 1969 წლის 20 დეკემბრამდე.

სწავლა დაიწყება 1969 წლის 20 დეკემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ობილისი, ლენინის რაიონი. ოქტომბრის ქ. № 134, ტრამვაი № 6, 11, ავტობუსი № 11, 18, 31, 62. გაჩერება სასწავლებლის წინ.

რა ვნახოთ, რა მოისმინოთ

რადიო

12 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართველი კომპოზიტორთა სიმღერები, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.10 — საუბარი „სიახლენი ლენინის მუზეუმში“, 12.25— ფ. ლისტი. ორი სიმფონიური პოემა, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ნ. სულხანიშვილი. სიმღერები, 14.00 — რადიოთმიმოხილვა „უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე“ (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ბ. ბოროდინი: ნაწყვეტები ოპერა „თავად იგორიდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის. „ვგვეკითხებიან — ვუპასუხებთ“; 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მენდელსონი. საფორტეპიანო პიესები „უსიტყვო სიმღერები“, 19.00 — საუბარი „მთავარია ხარისხი“, 19.15 — ქართული მუსიკა, 19.40 — ციკლიდან „ასე ვკიანდერძა ილიჩმა“. რადიომოთხრობა „საკუნის მანქანები“ (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — კონსერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — ციკლიდან „საბჭოთა მწერლების ლიტერატურული პორტრეტები“ — ს. ალდანოვი, 22.50 — მუსიკა კინოფილმებიდან, 23.30 — კონსერტი ი. ტუსკიას ნაწარმოებებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

11 დეკემბერი

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა „ატომის სუნთქვა“, 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ბიტლეფინტი-70“, 20.00 — ვ. დოლიძე. ოპერა „ქეთო და კოტე“ — ტრანსლაციი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური. თეატრიდან. „მისვლინების დროს და 22.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 23.35 — ლიტერატურული გადაცემა.

12 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სანამ ორემი გადაბრუნდება; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყარაბან ყანთელაძე; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა თბილისზე. მოზარდ მაყურებელთა ქართული — როცა მთავრდება ბავშვობა (№ 60 ბორნ. საღ. 5 ს. და 30 წ.); თოჯინების ქართული — ქალაქელი (დღის 11 საათზე 29-ე, 61-ე და 129-ე სკოლები, დღის 1 საათზე 46-ე სკოლა); კონსერვატორიის დიდი დარბაზი — კონსერტი-ლექცია (№ 12, 13 და 14 ბორნ. საღ. 8 ს.).

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

ოქტომბერი | ობილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99 93 03, 99 93 00, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: მარტიული — 99 87 61, პროპაგანდა — 93 22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99-62 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27-65, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55 01, ინფორმაციის — 93 16 90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93 93 96. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფე 11539 საქ. კპ ცკ-ის გამომც